



*აქვს ქვეყნიშუალს სსეღ-აშის
საქალაქის სსეღ-მწიჯეს ანაგეგმობიქვეტა*

ეკონომიქისა და ბიზნესის ფაკულტიქტი

2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

სადოქტორო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირება

(Ph.D in Business Administration)

თბილისი

2012

1. **პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება
(Business Administration)

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (Ph.D in Business Administration)

სადოქტორო პროგრამა მოიცავს შემდეგ კონცენტრაციებს:

- საბუღალტრო აღრიცხვა;
- მარკეტინგი;
- მენეჯმენტი;
- ფინანსები;
- ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი ;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

3. **პროგრამის ხელმძღვანელები:**

სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა და სრული პროფესორი თემურ შენგელია
(პროგრამის ხელმძღვანელების ბიოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია
დანართში).

სადოქტორო პროგრამის კონცენტრაციების ხელმძღვანელებია:

სრული პროფესორი ე. ხარაბაძე;
სრული პროფესორი ნ. თოდუა;
ასოც პროფესორი დ. ნარმანია;
სრული პროფესორი ი. კოვზანაძე;
სრული პროფესორი მ. მარგველაშვილი;
სრული. პროფესორი თ. შენგელია;
ასოც. პროფესორი ე. ლავგილავა.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

4.1. **პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების
სფეროში შემოქმედებითი (ნოვატორული) იდეების გენერაცია, კრეატიული

იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნა, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისათვის საკმარისი ანალიტიკური უნარის გამომუშავება, მათი სხვებისათვის გააზრება და გავრცელება, აგრეთვე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. ეს მიზნები თსუ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე განხორციელდება მეცნიერული კვლევების ორგანიზებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

4.2. პროგრამის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორები მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ა) ცოდნა და გაცნობიერება:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მას უნდა გააჩნდეს ბიზნესის მართვის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების, გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა იცოდეს მეცნიერული კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები, ბიზნესის მართვის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები, რომლებიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დამყარებული.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა, აგრეთვე ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა ჰქონდეს ბიზნეს-პროცესების გააზრებისა და ადაპტირების მეცნიერული ერთიანობის უნარი. აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში მან ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის წინსვლას, ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში მას უნდა შეეძლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

გ) დასკვნის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ბიზნესის მართვაში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორმა უნდა შეძლოს დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩინოს ახალი ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მეცნიერთა ფართო წრეებთან და ზოგადად საზოგადოებასთან დაამყაროს კომუნიკაცია, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან უცხოურ ენაზე

თემატურ პოლემიკაში ჩართვა. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია :

- მაღალკვალიფიციური მონაწილეობის მიღება ზოგადი და სპეციალური ხასიათის ბიზნესის საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში;
- არსებული ცოდნის კრიტიკული ანალიზი და მისგან ახალი ცოდნის მკაფიო გამიჯვნა და დემონსტრირება;
- შეუძლია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- წამყვანი ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლესი ინფორმაციის მიღება და გაცემა;

უცხო ენის ცოდნა - C1 დონე – პროფესიონალი მცოდნე (დარგობრივ სფეროში). კომუნიკაცია – შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. შეუძლია დაუბრკოლებლად საუბარი ისე, რომ საჭირო სიტყვებისა და ფრაზების მოძიებას დრო არ დაუთმოს. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ. კითხვა – შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა. წერა – შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა

ე) სწავლის უნარი:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს შეუძლია:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება და გადაცემა;
- სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად შემუშავება, რომელიც პასუხობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და კონკურენტუნარიანია სამეცნიერო ფონდების კვლევის დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით

ვ) ღირებულებები:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს უნდა შეეძლოს ბიზნესის მართვის სფეროში ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შეუშავება, ორიგინალური კვლევების მეშვეობით თავისი წვლილი შეიტანოს ბიზნესის განვითარებაში.

4.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, საწარმოო კოოპერატივები, სამეურნეო ამხანაგობები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე, შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო წინაპირობებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის დადგენილება #25/2011) , აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 4 მაისის დადგენილება # 215, დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის

შესახებ, 11 ივლისი, 2011). მას უნდა გააჩნდეს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი. სასურველია მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მეცნიერებების ნებისმიერ სპეციალობაში. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირებაგავლილ, აგრეთვე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სამუშაო გამოცდილების მქონე პიროვნებებს (შესაბამისი დოკუმენტაცია სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი). პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ როგორც მიმდინარე, ისე გასული წლების მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი სწავლების კურსდამთავრებულებს. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე. დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ დადგენილი კომისიის წინაშე.

6. სასწავლო და კვლევითი კომპონენტი სადოქტორო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის მომზადების სპეციფიკა, აგრეთვე ის გამოცდილება, რაც დაგროვდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებთან და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებთან მუშაობის პროცესში. ასევე, გათვალისწინებულია საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნები (სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქცია, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი) და თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადა 3 წელია

(მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5 წელი). დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს, 130 კრედიტი ეთმობა კვლევას.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებადი უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში. იგი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დანერაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებს და სხვა სახის აქტივობებს:

- ✓ სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი *(სავალდებულო)*
- ✓ აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი *(სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);*
- ✓ სემინარი - 15 კრედიტი *(სავალდებულო)*
- ✓ პროფესორის ასისტენტობა -15 კრედიტი *(სავალდებულო)*
- ✓ სხვა არჩევითი სალექციო კურსები - 10 კრედიტი.

დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს 2 კოლოქვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის) და სადისერტაციო ნაშრომს (90 კრედიტი).

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების შესაბამის კათედრებზე, აგრეთვე თსუ-ს, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე. ფაკულტეტზე, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე, ცალკეულ კათედრებს გააჩნიათ კომპიუტერები და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა, ამიტომ დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევებისათვის აუცილებელი ლიტერატურით.

8. დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 35-40 დოქტორანტის მიღება სხვადასხვა კონცენტრაციით.

9. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორების CV წარმოდგენილია დანართში.

10. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სადოქტორო პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად.

დოქტორანტურის ცნობარი და სხვა დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ მისამართზე:

<http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/economics/study/doctorate/u7n77kyw1jjauqyfw>

ღ ა ნ ა რ თ ე ბ ი

CV

გვარი, სახელი	ნუგზარ თოდუა
აკადემიური ხარისხი თანამდებობა	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სრული პროფესორი
სამუშაო ადგილი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საკონტაქტო ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none">• მისამართი• ტელეფონი• მობილური• ელ.ფოსტა	ქ.თბილისი, მიჩურინის ქ.#9. ტელ. (+995 32) 30 45 92 (თსუ) ; (+995 32) 91 05 33 (ბინა), (+995 93) 32 16 55 (მობილური). nugzartodua@yahoo.com ; nugzar.todua@tsu.ge
განათლება: <ul style="list-style-type: none">• თარიღი• დანესებულება• კვალიფიკაცია/ხარისხი• დიპლომის #(წარმოადგინეთ დანართები)	<ul style="list-style-type: none">• 2006 წ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. სპეციალობა „საქონელმცოდნეობა და არასასურსათო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია“ (წარჩინებით)• 1989 წ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლენინგრადის საბჭოთა ვაჭრობის ინსტიტუტის ასპირანტურა . სპეციალობა „სამრეწველო საქონელმცოდნეობა“

	<ul style="list-style-type: none"> • 1990 წ. – მოსკოვის კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტი. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. სპეციალობა „სამრეწველო საქონელმცოდნეობა“. • 1995 წ. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურა. სპეციალობა „მარკეტინგი“. • 1995 წ. – ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. სპეციალობა „მიკროეკონომიკა. მარკეტინგი“. • 1995 წ. – დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობა „სამრეწველო საქონელმცოდნეობა“ • 1998 წ. – პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობა „მიკროეკონომიკა. მარკეტინგი“.
<p>სამსახურებრივი (პროფესიული) გამოცდილება (ბოლო 10 წელი):</p> <ul style="list-style-type: none"> • თარიღი • დამქირავებელი ორგანიზაცია • თანამდებობა 	<ul style="list-style-type: none"> • 2006 წ. დან დღემდე – თსუ სრული პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი; • 2006 წ. დან დღემდე – თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი; • 2005–2007 წ. – თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

	<ul style="list-style-type: none"> • 2002–2006 წწ. – თსუ მარკეტინგის კათედრის გამგე; • 1196– 2006 წწ.– თსუ პროფესორი; • 1994–2004 წწ. – თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში
<p>გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა</p>	<p>135</p>
<p>მიუთითეთ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 10–მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლითაც დასტურდება შესაბამის დარგში (იგულისხმება სასწავლო კურსი, რომელსაც თქვენ ახორციელებთ) თქვენი კომპეტენტურობა.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხი. ურუნალი „ეკონომიკა“, 2006 წ. # 4, გვ. 50-58. 2. მოთხოვნის პროგნოზირება იმერეთის რეგიონში. ურუნალი „ეკონომიკა“, 2006 წ. # 8, გვ.111-116 3. სასაქონლო პოლიტიკის მარკეტინგული სტრატეგიები აბრეშუმის ქსოვილების ბაზარზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006 წ. -107 გვ. 4. ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები აჭარაში. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006 წ. -219 გვ. 5. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008 წ. -151 გვ. 6. Georgian Consumers Perception of domestic and foreign Products. Part I. Journal `Sakartvelos Ekonomika~, 2008, # 11 (132), pp. 30-33. # 12 (133), pp. 29-33 7. Georgian Consumers Evoluation of Products Sourced From a Geographically Close Proximity Country. USA. `Journal of Euromarketing~, 17 (2008), No. 3/4, pp.199-218. 8. Georgian Consumers Evoluation of Domestic Products. Journal `Economics and Business~.

	<p>2009, #1, pp. 106 – 126.</p> <p>9. მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში. ურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი, 2010, #1, გვ.124–136</p> <p>10. ინტერნეტ მარკეტინგი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. 319 გვ.</p>
<p>სხვა აქტივობა, რომლითაც დასტურდება შესაბამის დარგში თქვენი კომპეტენტურობა (სასწავლო და სამეცნიერო გრანტში, კონფერენციაში მონაწილეობა).</p>	<p>1. მომხმარებელთა ქცევის თავისებურებანი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მიმდინარე გამოწვევები ცოდნის მართვაში - ცოდნა ცხოვრებისათვის“ (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008 წლის 3-4 ოქტომბერი) სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008 წ. გვ. 90-95</p> <p>2. გლობალიზაცია და ინტერნეტ-პროვადერების ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში“ (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008 წლის 29 ნოემბერი) სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008 წ. გვ. 124-129.</p> <p>3. გლობალური კრიზისის გავლენა ინტერნეტ-ბაზრის განვითარებაზე. საუნივერსიტეტო-შრომის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“ (თსუ, 2009 წლის 6 ივნისი) სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009 წ. გვ.186-188</p>

	<p>4. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების მათემატიკური მოდელი. I საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლემები, პერსპექტივები“ (თსუ 2009 წლის 25 ივნისი) სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009 წ. გვ. 34-39</p> <p>5. Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. Eighteenth World Business Congress `Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns`. July 1-5, 2009. International Black Sea University, Tbilisi. International Management Development Association. Research Yearbook. Volume XVIII. 2009. pp.531-539</p> <p>6. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ახალი მიმართულებები განათლებასა და კვლევაში“ (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009 წლის 2-3 ოქტომბერი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009 წ. გვ. 142-147</p> <p>7. ტურიზმის განვითარების მარკეტინგული კონცეფცია აჭარის რეგიონში. საქართველოში აშშ საელჩოსა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური განვითარების დასახმარებლად: ხვალისინდელი ტურიზმის საგანმანათლებლო და კვლევითი ასპექტები“ (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009 წლის 28-29 ნოემბერი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 20-</p>
--	---

	<p>36.</p> <p>8. ინოვაციური საქონლით ბაზარზე გასვლის მარკეტინგული სტრატეგიები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციები ბიზნესში“ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2010 წლის 16–17 აპრილი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 79–82.</p> <p>9. ეკოტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბათუმი – ტრაპიზონი, 2010 წლის 5–6 ივნისი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010 წ. გვ. 487–495.</p> <p>10. სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“ (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2010 წლის 8–9 ივლისი) სამეცნიერო შრომების კრებული, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2010 წ. გვ. 560–565</p> <p>11. განათლების როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. პროფესორ-მასწავლებელთა მე-2 რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკა და მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (ქუთაისის უნივერსიტეტი,</p>
--	--

	<p>ქუთაისი, 2010 წლის 18 დეკემბერი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „მბმ-პოლიგრაფი“, ქუთაისი, 2010 წ. გვ. 60–63</p> <p>12. საქართველოს ზამთრის ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა.საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011 წლის 4–5 ივნისი) სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წ. გვ. 343–349.</p> <p>1997 წ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო – უნივერსიტეტის ჯორჯ შულცის სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია;</p> <p>1999 წ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია სახელმძღვანელოსათვის;</p> <p>1997–2004 – საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის ახალგაზრდა მეცნიერთა სტიპენდიატი.</p> <p>1997 წ–დან დღემდე – საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი</p> <p>2006 –2011 წწ. – 7 სადოქტორო და 2 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი</p> <p>1996 წ. – ზაარლანდის უნივერსიტეტის</p>
--	---

	<p>საერთაშორისო მარკეტინგის კათედრის სტაჟიორი;</p> <p>2000 წ– აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიუროს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სტუმრის პროგრამაში „უმალღესი განათლების მართვა აშშ-ში“ მონაწილეობა.</p> <p>2001 წ–დან დღემდე – ასოციაცია „მარკეტინგული კვლევის ცენტრის“ თავმჯდომე</p> <p>2006 წ–დან დღემდე – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ახალი ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;</p> <p>2008 წ–დან დღემდე – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;</p> <p>2009 წ–დან დღემდე – საუნივერსიტეტო საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის „ბიზნესი და მენეჯმენტის“ (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) სარედაქციო კოლეგიის წევრი</p>
--	--

CV

გვარი, სახელი	შენგელია თემური
აკადემიური ხარისხი, თანამდებობა	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი
სამუშაო ადგილი	თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრა
საკონტაქტო ინფორმაცია	ნუსტუბიდის 15,ბ. 15
მისამართი	
თელეფონი	
ელ.ფოსტა	Shengelia.temur@gmail.com
განათლება	2005 თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი.
თარიღი	
დანესებულება	1995-1998 პ.გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის დოქტორანტურა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.დიპლომი #
კვალიფიკაცია/ხარისხი	
დიპლომები (დანართების სახით)	1998 წლიდან თსუს პროფესორი დიპლომი # 1984-1988 ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დიპლომი # 1982-1988 წლები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი.

<p>სამსახურებრივი გამოცდილება (ბოლო 10 წელი)</p> <p>თარიღი</p> <p>დამქირავებელი ორგანიზაცია</p> <p>თანამდებობა</p>	<p>2005 წლიდან დღემდე თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი.</p> <p>2005 წლიდან დღემდე საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.</p> <p>1993-2005 წლები თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.</p> <p>1988-1993 წლები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანის მოადგილე.</p> <p>1984-1988 სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი</p>
<p>გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა</p>	<p>84</p>
<p>ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 10 ნაშრომი, რომლითაც დასტურდება შესაბამის დარგში თქვენი კომპეტენტურობა</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. გამ. „ახალი საქართველო“. თბ. 2010 2. გლობალური ბიზნესი. გამ. „ახალი საქართველო“. თბ. 2011 3. Business Social Environment and Corruption in Georgia. International Centr for Economic Development and Cultural Studies, Kentucki World Center, Marrey State University (USA)., 2007. 4. Free Trade and Foreign Investment as Leading Provision for Strong growth of Economy. International Centr for Economic Development and Cultural Studies, Kentucki World Center, Marrey State University (USA)., 2007. 5. Tendencies of the development of World Economy and Business. International Centr for Economic Development and Cultural Studies, Kentucki World Center, Marrey State University

	<p>(USA)., 2007.</p> <p>6. BInfluence of corraption on the development of the business in georgia. HESP-Higer Education Support Program</p> <p>(Collection</p> <p>Of Scientific Works, Reserrch papers).2010</p> <p>7. Significance and Tendencies of Small Buziness Development. GIJST, Nova Science Pabli-shers Inc, 2010, Vol.2,Issue 2, pp. 1-6,New York, USA 2010.</p> <p>8. Georgia’s foreign trade development trends. GIJST, Nova Science Pabli-shers Inc, 2010, Vol.2, Issue 3, pp. 1-12,New York, USA .</p> <p>9. Investment environment in Georgia and the prospect of its development. GIJST, Nova Science Pabli-shers Inc, 2010, Vol.2,Issue 2, pp. 1-14,New York, USA.</p> <p>10. Tourizm- Business Development Perspectives in Georgia. International Scientific-practical conference: Tourism – Economics end Business, Trabzon-Batumi, June 5-6, 2010.</p>
<p>სხვა აქტივობა, რომლითაც დასტურდება შესაბამის დარგში თქვენი კომპეტენტურობა</p>	<p>1. თ.შენგელია – ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენა ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებაზე.საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: საყოველთაო კეთილდღეობა და ბიზნესი. თსუ.16 მაისი, 2008.</p> <p>2. თ.შენგელია – ეკონომიკური რეფორმები და ბიზნესის განვითარების პერსპექტივები</p>

	<p>საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია: გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება. თსუ, 22–24 ოქტომბერი, 2008.</p> <p>3. T.Shengelia. Corraption in economic and develoement of business. Odessa National University. (collection of scientific Works) 2007.</p> <p>4. T.shengelia. Phenomenon of “Holland Diseases” Existing reality and possible risks. International Conference : Shadow Economics and Social Economic Consequences of Corraption Tax Evasion And Property rights violation. (Collection of Scientific Works, Research Papers and Articles). Tbilisi , 2008.</p> <p>5. T.Shengelia. Inluense of Corruption on the Development of Business in Georgia. Regional Seminar for Exellencein Teaching. (collection of Scientific works and Resaserch papers.) Tbilisi 2007.</p> <p>6. T. Shengelia. Institutional end legal aspects on the EU Eurosistem Integration. international seminar held in the Czech NB, 14-16 may 2007.</p> <p>7. თ.შენგელია . “ საქართველოს ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსპორმაციის პერიოდში.” საერთაშორისო ქართულ-ამერიკული კონფერენცია თემაზე:“ საქართველოს ეკონომიკა მიღწევები და გამონწვევები“ ორგანიზებული (CEED)ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის მიერ (აშშ-ის პართნიორი ორგანიზაცია). თბილისი, 2008, აპრილი.</p> <p>8.თსუ ნორჩ ეკონომისტთა სკოლა. მოხსენება თემაზე: “ბიზნესის ეთიკური</p>
--	--

	<p>დატვირთვა და სოციალური პასუხისმგებლობა.” 14 მარტი. 2009 წელი.</p> <p>9. ციურისის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (აშშ-ის პარტნიორი ორგანიზაცია) მიერ ორგანიზებული სემინარი თემაზე: ეკონომიკური კვლევის მეთოდები . თბილისი – ბათუმი. 30 მარტი-5 აპრილი. 2009 წელი</p> <p>10. T. Shengelia. Investment projects and its influence on business development. P.Gugusvili Economic Institute. July 2010.</p> <p>15. Investor relationship management in Georgia. SASE Conference at Temple University in Philadelphia, Pennsylvania, July 24th-26th, 2010.</p> <p>16. თ.შენგელია. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები“, ქუთაისი, ქსუ, 1-2 მაისი, 2010.</p> <p>17. თ.შენგელია. საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „ინოვაციები ბიზნესში“.</p> <p>შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 16-17 აპრილი, 2010.</p> <p>18. T. Shengelia. Tourism- business development perspectives in Georgia. International Scientific-practical conference: Tourism – Economics and Business, Trabzon- Batumi, June 5-6, 2010.</p>
--	--

	<p>19. მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის საერთაშორისო პროგრამის (SPRAIT)-ის „სოციალური პოლიტიკის რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში“ მონაწილე. (2004–2006 წლები)</p> <p>20. ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (CEED), აშშ-ის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს საგრანტო პროექტის მონაწილე 2006–2008 წლებში.</p> <p>21. აშშ-ის ეკონომიკური განათლების ნაციონალური საბჭო (NCEE), ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის (CEED), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი – “სრულიად საქართველოს I-II-III ოლიმპიადა ბიზნესში”. უიურის თავმჯდომარე. 2008 ივნისი.</p> <p>22. სტუდენტური ბიზნეს- ოლიმპიადა “ერთად ვაშენოთ ქვეყანა” ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის პროგრამა (აშშ-ის ეკონომიკური განათლების ეროვნული საბჭოს პროექტი). უიურის წევრი. მაისი 2008.</p> <p>23. აშშ ეკონომიკური განათლების ნაციონალური საბჭო (NCEE), ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი (CEED), საქართველოს მოსხაველეთა ოლიმპიადა ბიზნესში. 2009. ივნისი.</p> <p>24. განათლების სამინისტროს „მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ მიერ</p>
--	---

	დაფინანსებული გრანტი. 2010 წელი.
--	----------------------------------

CV

გვარი, სახელი	ხარაბაძე ელენა
აკადემიური ხარისხი თანამდებობა	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი
სამუშაო ადგილი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა
საკონტაქტო ინფორმაცია: <ul style="list-style-type: none"> • მისამართი • ტელეფონი • მობილური • ელ.ფოსტა 	<ul style="list-style-type: none"> • ქ. თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. 5, კორპ. I, ბინა 13 • 230 37 50 • 877-27-44-10; 899-92-28-36 • Elene.kharabadze@tsu.ge; ekharabadze@mail.ru
განათლება: <ul style="list-style-type: none"> • თარიღი • დანესებულება • კვალიფიკაცია/ხარისხი • დიპლომის # (წარმოადგინეთ დანართები) 	<ol style="list-style-type: none"> 1. 1968-1972; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ასპირანტურა; აღრიცხვა და ანალიზი. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (ՅԿ № 002493 დოცენტის ატესტატი ДЦ №086580); 2. 1961-1966; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. ბუღალტერ-ეკონომისტი (γ №007708);
სამსახურებრივი (პროფესიული) გამოცდილება (ბოლო 10 წელი): <ul style="list-style-type: none"> • თარიღი • დამქირავებელი 	<ul style="list-style-type: none"> • 01. 09. 2006 წლიდან დღემდე • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი • სრული პროფესორი

<p>ორგანიზაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამდებობა 	<ul style="list-style-type: none"> • 28.07.2009 წ.- დღემდე • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ • დეკანის მოვალეობის შემსრულებელი • 10,04,2009 - 28.07.2009 • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ • დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მრჩეველი • 2007–2009 • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ • დეკანის მოადგილის მ. შ. • 1977-2006 • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ • დოცენტი • 1992-1997 • ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ • ბულალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე
<p>გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა</p>	<p>60</p>
<p>მიუთითეთ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული 10–მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლითაც დასტურდება შესაბამის დარგში (იგულისხმება სასწავლო კურსი, რომელსაც თქვენ ახორციელებთ) თქვენი კომპეტენტურობა.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღრიცხვა, უურნალი “ახალი ეკონომისტი”, 2, გვ. 91-95, 2009წ. 2. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა, უურნალი “ახალი ეკონომისტი”, 1, 2, გვ. 27-29, 2007წ. 3. იჯარის აღრიცხვა, უურნალი “ახალი ეკონომისტი”, გვ. 24-33, 2007 წ. 4. კორუფციული გარიგებების საფუძვლები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, უურნალი “გადასახადები”, 3, გვ. 5-13, 2004წ. 5. მოგების გადასახადის აღრიცხვის თავისებურებები; უურნალი “გადასახადები”, 1-2, გვ. 30-41, 2002 წ. 6. ვალდებულებების აღრიცხვა, უურნალი “გადასახადები”,

